ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **201920618**
თარიღი: **25/07/2019**
პინი: **8987**

ადრესატი: ლევან სიხარულიძე
პირადი ნომერი: 01024024502
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 45ა, ბინა 16

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 0119192333-67
განცხადების თარიღი: 11/07/2019

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.19.15.002.036
- მისამართი :ქალაქი თბილისი, დიდი ლილო - პატარა ლილო აეროპორტი, (ნაკვეთი 02/017)
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : სააქციო საზოგადოება "საქართველოს რკინიგზა"

განმცხადებელი-დამკვეთი :ლევან სიხარულიძე
პირადი ნომერი :01024024502
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 45ა, ბინა 16

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /

ბატონო ლევან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი, 2019 წლის 20 მაისის N01191403557-67 (0119192333-67, 11.07.2019), რომლითაც ითხოვთ N01.19.15.002.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარკინიგზო ხაზის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს–1), სარეკრეაციო ზონა 2-სა (რზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1-ში (ტზ–1). ამ უკანასკნელი ფუნქციური ზონის არეალზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1). ვინაიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობა წარმოადგენს მომიჯნავე ტერიტორიაზე ავსტრიული კომპანია „გებრიუდერ ვაისის“ ლოჯისტიკური ცენტრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისში, დიდი ლილო - პატარა ლილო აეროპორტის ტერიტორიაზე (ნაკვეთი 02/017) სარკინიგზო ლიანდაგების განთავსება და არსებულის ნაწილის რეკონსტრუქცია.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთის განვითარების კონკრეტულ პირობებს, განგიმარტავთ, რომ აღნიშნული დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებით, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიას. ამავე დადგენილების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის

შესაბამისად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს ოფიციალური ვებ. გვერდის www.tas.ge-ს საშუალებით. განცხადებასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი დგინდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 მარტის N57 დადგენილებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი